# ერთიან ძმურ ოჯახში, ერთი მიზნისაკენ!


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 74 (6139) 15 1978 წ. აპრილი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского. Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა


საქართველოს სსრ რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის პროექტი ჩვენი პარტიის ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა!

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

### სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მოგზაურობის შედეგების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომლებმაც მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ინფორმაცია ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში მისი მოგზაურობის შესახებ, მთლიანად იწონებენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ გაწეულ მუშაობას.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოგზაურობას დიდი მნიშვნელობა აქვს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა კომპლექსური ათვისებისა და საწარმოო ძალების განვითარების შესახებ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომლებიც მზარდ როლს ასრულებენ ქვეყნის ეკონომიკაში.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა პრაქტიკული დასკვნები უნდა გამოიტანონ მითითებებიდან და რეკომენდაციებიდან, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გამოთქვა მშრომელებთან, პარტიულ-სამეურნეო აქტივთან შეხვედრებისა და საუბრების დროს. ამოცანა ის არის, რომ ქვეყნის აღმოსავლეთში კვლავაც გავზარდოთ ქვანახშირის, ნავთობის, გაზის, უწინარეს ყოვლისა, ტიუმენის ამ წიაღისეულის მოპოვება, უფრო სრულად გამოვიყენოთ ამ რაიონების უდიდესი ჰიდროენერგეტიკული რესურსები ალუმინის, ცელულოზის, ნავთობქიმიური და მრეწველობის სხვა დარგების განვითარებისათვის.

ხელმძღვანელობენ რა დებულებით იმის შესახებ, რომ გეგმა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მთავარი ინსტრუმენტია, ყველა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანომ მთელი ენერგია უნდა მოახმარონ 1978 წლის საგეგმო დავალებებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების და მთლიანად ხუთწლედის უთუო შესრულების უზრუნველყოფას. ამასთან საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს წარმოების გაზრდას შინაგანი რეზერვების უკეთ გამოყენების, საწარმოთა საპროექტო სიმძლავრეების უსწრაფეს ათვისების გზით „ვიწრო ადგილების“ დაძლევას, სამეურნეო მუშაობის ყოველ უბანზე ორგანიზებულობის, წესრიგისა და დისციპლინის ამაღლებას.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განახორციელონ უმნიშვნელოვანეს ასამუშავებელი ობიექტების დაჩქარებული აგების, მშენებლობათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებანი, აღმოფხვრან ნაკლოვანებანი ტრანსპორტის მუშაობაში, სრულყონ ტვირთზიდვის დაგეგმვა, დაამყარონ წესრიგი მოძრავი შემადგენლობის გამოყენებაში.

სოფლის მეურნეობაში, უწინარეს ყოვლისა, მთელი ძალები და ყურადღება უნდა მოვახმაროთ იმას, რომ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, მოკლე ვადებში ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა, უზრუნველვყოთ მანქანა-ტრაქტორების პარკის დიდმწარმოებლური გამოყენება საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისა და მოსავლის აღების დროს. უკვე ახლა უნდა მოვამზადოთ მატერიალური ბაზა მარცვლეულის, ბოსტნეულის, ხილის დაცვა-შენახვისა და გადამუშავებისათვის. უნდა მივაღწიოთ, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებანი ხორცზე, რძეზე, ბოსტნეულზე სულ უფრო სრულად კმაყოფილდებოდეს ადგილებზე ამ პროდუქტების წარმოების გზით ოლქთშორისი სპეციალიზაციისა და კოოპერაციის გაღრმავების საფუძველზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად უნდა განიხილონ კონკრეტული საკითხები, რომლებიც ეხება ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონების შემდგომ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და რომლებიც დასახა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავისი მოგზაურობის დროს.


(დასასრული მე-2 გვ.).


## საინფორმაციო ცნობა

## საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

**1978 წლის** 14 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-10 პლენუმი. პლენუმმა მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **ე. ა. შევარდნაძის** მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენების გამო მიიღო დადგენილება, რომელიც ქვეყნდება პრესაში.

პლენუმზე საქართველოს სსრ ჰიმნის ტექსტის შესახებ ინფორმაცია გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. მ. სირაძემ**.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. **ვ. ი. ბროვიკოვი** და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგის მოადგილე ამხ. **ვ. ვ. ვასილიევი**. (საქინფორმი).

## საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო განხილვის შედეგების შესახებ

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-10 პლენუმის დადგენილება, მიღებული 1978 წლის 14 აპრილს

1. მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. **ე. ა. შევარდნაძის** მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ“.

2. ძირითადად მოწონებულ იქნეს კომისიის მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტი იმ დამატებებით, დაზუსტებებითა და შესწორებებითურთ, რომლებიც შეტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების მიხედვით. შეტანილ იქნეს კონსტიტუციის პროექტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის განსახილველად.

დაევალოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს ამხ. **ე. ა. შევარდნაძეს** კონსტიტუციის პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

3. პარტიულმა, საბჭოთა ორგანოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ყურადღებით განიხილონ საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს შემოსული მშრომელთა წინადადებანი და შენიშვნები სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ უბნებზე მუშაობის გაუმჯობესების შესახებ და მიიღონ საჭირო ღონისძიებანი მათი პრაქტიკული განხორციელებისათვის. (საქინფორმი).

## ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა

### საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე

აი უკვე სამი კვირაა საბჭოთა საქართველოს მშრომელები საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებული საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შთაბეჭდილებით ცხოვრობენ. ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენტში ხორცს ისხამს სახელმწიფო მშენებლობის მდიდარი გამოცდილება, ასახავს საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში რესპუბლიკის განვითარების ახალ ეტაპს. საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც პარტიისა და ხალხის რევოლუციურ-გარდამქმნელი საქმიანობის დიდებული შედეგები აისახა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადებული სსრ კავშირის კონსტიტუციის საფუძველზეა შედგენილი და განსაზღვრავს კომუნისტური მშენებლობის პერსპექტივებს, იგი რესპუბლიკაში საკანონმდებლო მუშაობის შემდგომი გაშლის საფუძველი გახდება. საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს მოწონებული და შევსებული პროექტი გამოხატავს რესპუბლიკის განვითარების ეროვნულ და სხვა თავისებურებებს, იქ კონსტიტუციურად არის დამკვიდრებული საზოგადოების ცხოვრებაში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლი. და ეს ხალხის ერთსულოვანი სურვილი, მისი ინტერესების გამოხატულებაა.

საქართველოს მშრომელები კომუნისტურ მშენებლობაში მიღწეულ ყველა წარმატებას, რის გამოვლინებაც იყო რესპუბლიკის მეხუთედ დაჯილდოება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, უკავშირებენ იმ ყურადღებასა და ზრუნვას, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო და პირადად ლ. ი. ბრეჟნევი იჩენენ ჩვენი რესპუბლიკისათვის, ისევე როგორც ყველა მოკავშირე რესპუბლიკისათვის.

მშობლიური კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული და საბჭოთა კონსტიტუციური უფლებებისა და მოვალეობების ერთგული რესპუბლიკის მშრომელები აღუთქვამენ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ახალი შრომითი წარმატებებს მიაღწევენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეში, ხელს შეუწყობენ ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი. 14 აპრილს აქ შეიკრიბნენ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, რათა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიაზე განეხილათ და დაემტკიცებინათ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი.

სესიის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები პ. გ. გილაშვილი, ზ. დ. კიკნაძე, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კუპრეიშვილი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, გ. მ. სი-


(დასასრული მე-2 გვ.).

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

დასასრული

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრებს საბჭოთა მეომრებთან საბჭოთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების შემდგომი ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირის მოქმედება თავდაცვის დარგში მიზნად ისახავს იმას, რომ დაიცვას საკუთარი თავი და თავისი სოციალისტური მეგობრები შესაძლო აგრესიისაგან, საიდანაც უნდა მომდინარეობდეს იგი საბჭოთა კავშირისათვის უალრესად უცხოა პოლიტიკა ძალის პოზიციიდან. იგი არ ემუქრება არც ერთ თავის მეზობელს, ახლობელსა თუ შორეულ მეზობლებს, ცდილობს განავითაროს კეთილმეზობლური ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უნდა გაძლიერდეს ბრძოლა დაძაბულობის შენელების პროცესის გაღრმავებისათვის. თანამედროვე პირობებში არა არის რა იმაზე დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, რომელიც ქვეყნად თითოეული ადამიანის ბედს ეხება, ვიდრე რეალური განიარაღების მიღწევა. ამ მიზნის მიღწევის გზაზე დიდი ნაბიჯი შეიძლება გახდეს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის გრძელვადიანი შეთანხმების დადება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მხარეთა თანასწორობისა და ერთნაირი უშიშროების პრინციპის საფუძველზე. ეს დასახავს იმის პერსპექტივას, რომ გადავდგათ კიდევ უფრო შორს გამიზნული ნაბიჯი სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების გზაზე. სსრ კავშირი ადასტურებს თავის წინადადებას, რომ მხარეებმა უარი თქვან ნეიტრონული იარაღის წარმოებაზე, რაც კაცობრიობას თავიდან ააცილებს გამალებული შეიარაღების ახალ ტურში ჩათრევას.

საბჭოთა კავშირი სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით მტკიცედ იბრძოლებს პროგრესისათვის განიარაღების სხვა საკითხებშიც, რომელთა გამო ახლა მიმდინარეობს მოლაპარაკება, იბრძოლებს მთელი საერთაშორისო ატმოსფეროს რადიკალური გაჯანსაღებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამენ რწმენას, რომ საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იშრომებენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, აქტიურად შეუწყობენ ხელს პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფო საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიზნების წარმატებით მიღწევას.

# ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა

დასასრული

რაძე, ე. ა. შევარდნაძე, ჟ. ქ. შარტავა, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვ. ი. ბროვიკოვი და სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტორის გამგის მოადგილე ამხ. ვ. ვ. ვასილიევი.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ი. ბ. აბაშიძემ.

შემოდის წინადადება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესიის დღის წესრიგში შეიტანონ საკითხი: საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის შესახებ.

საკითხი სესიის განსახილველად შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელ კომისიას.

დღის წესრიგი ერთხმად მტკიცდება.

მოხსენება „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგების შესახებ" გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ე. ა. შევარდნაძემ.

შემოდის წინადადება შეიქმნას საქართველოს სსრ კონსტიტუციის საბოლოო ტექსტის მოსამზადებელი სარედაქციო კომისია. დეპუტატები ერთხმად ირჩევენ სარედაქციო კომისიას დეპუტატ ე. ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით.

შემდეგ დეპუტატები იწყებენ საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის საკითხის განხილვას.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ნ. ვ. გურგენიძე (ქალაქ თბილისის გოგებაშვილის საარჩევნო ოლქი), ბ. ვ. შინკუბა (ბესლების საარჩევნო ოლქი; სოხუმის რაიონი), დ. დ. დიასამიძე (ხელვაჩაურის საარჩევნო ოლქი, ხელვაჩაურის რაიონი).

15 აპრილს უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას განაგრძობს. (საქინფორმი).

# სპორტის ქურაში ნაწრთობი სიმტკიცე

ექიმის აზრით...

— სტარტზეა მონაწილე სამკერდე ნომრით 24, ტაჯიკეთის გუნდის წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი ეკატერინე გილგუტი! — კოხტაგორა II-ის ტრასაზე რეპროდუქტორებში გაისმა დიქტორის მორიგი ინფორმაცია.

სწრაფდაშვების რთული ტრასა გოგონამ სწრაფად ჩაიქროლა, ფინიშთან მკვეთრად დაამუხრუჭა, 180 გრადუსით შემობრუნდა და... უხეიროდ დაეცა.

დაზარალებულს პირველი სამედიცინო დახმარება დროულად, ადგილზევე აღმოუჩინეს. მოთხილამურეთა სამაშველო ჯგუფს, რომელიც ტრასის ყველაზე სახიფათო მონაკვეთში მორიგეობდა, შემთხვევის შესახებ სასწრაფოდ აცნობეს. მათ ტრავმირებული გილგუტი სპეციალური ციგით („აკია") ფრთხილად ჩაიყვანეს მთის ძირში, სადაც ავადმყოფს უკვე ელოდა სასწრაფო დახმარების სპეციალური სანიტარული მანქანა.

ბაკურიანის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში ეკატერინე მიიღო ქირურგ-ტრავმატოლოგმა ნოდარ დანელიამ, რომელიც აქ სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის პერიოდში სპეციალურად მოავლინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა.

მერე 14 წლის სპორტსმენი გოგონას სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლაში ჩაება ქირურგი გიორგი ზუბადალაშვილი, ბორჯომის რაიონული საავადმყოფოს მთელი სამედიცინო პერსონალი, თბილისიდან და მოსკოვიდან ოპერატიულად ჩამოიტანეს ეფექტური ფარმაკოლოგიური საშუალებები. სპარტაკიადის მონაწილე რესპუბლიკებისა და ქალაქების დელეგაციათა წევრები მზად იყვნენ ბავშვის გადასარჩენად საკუთარი სისხლი გაეღოთ.

ზრუნვასა და ღელვაში რამდენიმე დღე მიილია და აი, ბორჯომის რაიონის მთავარი ექიმის მიხეილ თვაურისგან ტელეფონით შევიტყვეთ, რომ ეკატერინე მომჯობინდა, საავადმყოფოს პალატასა და დერეფანში უკვე დადის, თავს შესანიშნავად გრძნობს. ახლა მისი ერთადერთი სურვილია, რაც შეიძლება ჩქარა დაუბრუნდეს დუშანბეს თოვლიან მთებს, სპორტული ტექნიკის სრულყოფისთვის ივარჯიშოს...

გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მონაწილეთა მეგობრულმა კავშირმა, სამაშველო ჯგუფისა და კვალიფიციური სამედიცინო სამსახურის კარგმა ორგანიზაციამ, მაგრამ მთავარი, რამაც სიკვდილის დამარცხება შეძლო, თვით გოგონას სპორტის ქურაში ნაწრთობი ორგანიზმის სიმტკიცე იყო...

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის ორი და ზაფხულის ამდენივე სპარტაკიადის სამედიცინო მომსახურებისას კიდევ ერთ ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი.

თბილისის ახალ ცენტრალურ ველოსტადიონზე ტარდებოდა ველოსიპედისტთა წინასასპარტაკიადო შეჯიბრება, რომლის მიზანი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის ძალების შემოწმება იყო. ასპარეზობაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

სტარტზე გამოიძახეს ჯგუფი, რომელშიც თბილისელი გლებ ვოლკოვიც იყო. ორი ძმა ვოლკოვი — საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები რესპუბლიკის ნაკრების უფროსი მწვრთნელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, სახელგანთქმული ომარ ფხაკაძის ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ.

ორივე ძმას უკანასკნელ წლებში სპეციალისტები მომავლიან, ნიჭიერ ველოსიპედისტებად თვლიდნენ და არც ცდებოდნენ. უმცროსმა ძმამ — გლებმა დისტანციაზე გადაწყვიტა მის წინ წაფორხილებული მეტოქისთვის მკვეთრად აევლო და... ცუდად დაეცა.

შემთხვევის ადგილზე სწრაფად გაჩნდნენ ექიმები, მწვრთნელები.

სპორტსმენი მიწაზე უძრავად იწვა. ექიმებმა ელენე სიხარულიძემ და ზურაბ ჯოხიძემ ვოლკოვს პირველი დახმარება აღმოუჩინეს. უახლოესი სამედიცინო დაწესებულება — ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის საავადმყოფო, სამწუხაროდ, იმ დღეს არ მორიგეობდა, მაგრამ ექიმი რეანიმატორი გიორგი ონიანი არ დაბნეულა. მაშინვე გამოიძახეს ნეიროქირურგი ოთარ სიგუა, ექიმთა საბოლოო დიაგნოზი — ტვინის მძიმე დაჟეჟილობა, ავადმყოფის გადარჩენის საკითხს კითხვის ქვეშ აყენებდა.

გლებს თავს დასტრიალებდნენ ექიმები, ამხანაგები, მასწავლებლები, რომლებიც კლინიკას წუთითაც არ ტოვებდნენ. განწყობა ოპტიმისტური გვქონდა. მახსოვს, შემთხვევის მესამე დღეს, შაბათს მორიგე ექიმმა იური ნეკინსკიმ ნეიროქირურგთან კონსულტაციის შემდეგ გვაცნობა, რომ ქალაქში არის სპეციალისტი, რომელსაც თანამედროვე აპარატის — ეხოენცეფალოგრაფის დახმარებით შეუძლია დაადგინოს არის თუ არა ტვინში სისხლის ჩაქცევა.

ყველა დატრიალდა. სულ მალე ის სპეციალისტი კლინიკაში იყო, კიდევ თხუთმეტი წუთის შემდეგ კი გამოაქვთ დასკვნა — ტვინში სისხლის ჩაქცევა ან ჰემატომა არ არის. რჩებოდა ერთი საშიშროება — ტვინის შეშუპება. ავადმყოფის მდგომარეობა ისევ მძიმეა, მაგრამ სპორტსმენის ძლიერი ორგანიზმი გამოჯანმრთელების იმედს გვაძლევს.

მეთხუთმეტე დღეს ვოლკოვმა თვალები გაახილა. ეს ყველასათვის საზეიმო წუთები იყო.

ამბობენ ნამდვილი მეგობრობა გაჭირვების დროს გამოჩნდებაო. ასეც მოხდა: საქართველოს ველოსიპედისტებმა დაადასტურეს, რა არის სპორტული სოლიდარობა, შეკავშირება, სახიფათო წუთებში სიფხიზლე.

მაშინ ომარ ფხაკაძესთან და ახალგაზრდებთან გლების შესახებ ვსაუბრობდით: „თუ ყველაფერი კარგად აღუდგა, იგი სპორტს აუცილებლად დაუბრუნდება", — თქვა მწვრთნელმა. დიახ, სპორტის ამ სახეობის წარმომადგენლები ფანატიკოსები არიან.

მაგონდება კიდევ ერთი შემთხვევა. სსრ კავშირის 1971 წლის ხალხთა V სპარტაკიადა მოსკოვში. სტარტამდე რამდენიმე დღით ადრე თვით ომარ ფხაკაძე დანიიდან მოსკოვში მძიმედ დაშავებული ჩამოიყვანეს. არადა, 10 დღის შემდეგ სპარტაკიადა იწყება. ომარს იმ მდგომარეობაში საბრძოლველად გასვლა აშკარად არ შეეძლო. საქმეს მხოლოდ თურმანიძის „მაგიური საცხი" თუ უშველიდა... საცხი იმავე დღეს თვითმფრინავით მოსკოვში ჩამოიტანეს. ფეხის, გვერდისა და მკლავის შეხვევას ორსაათნახევარს მოვუნდით... ფხაკაძემ ამ სპარტაკიადის ოქროს მედალი მოიგო.

გ. ვოლკოვიც დაუბრუნდა სპორტს — მწვრთნელად მუშაობს.

ევვი არ გვეპარება, გილგუტის სპორტული წარმატებების შესახებ შემდეგშიც გავიგონებთ...

მე მოვიგონე სულ რამდენიმე ეპიზოდი, რომლებიც ნათლად ადასტურებენ თუ როგორ შეუძლია სიკვდილის დამარცხება სპორტსმენების, მასწავლებლების, სპორტული ექიმების თავდადებას და, რაც მთავარია, სპორტში ნაწრთობ ორგანიზმს.

ისტორიას არაერთი ფაქტი შემოუნახავს, როცა ფიზკულტურასა და სპორტთან ხანგრძლივად და მტკიცედ დამეგობრებული ადამიანების ორგანიზმი ადვილად უსწორდება ყველაზე მძიმე ტრავმებსაც კი. აღარას ვამბობთ იმაზე, რომ ადამიანები, რომლებიც რეგულარულად, ინტენსიურად ვარჯიშობენ, ორგანიზმს ფიზკულტურით იკაჟებენ, უფრო ადვილად ამარცხებენ ყოველგვარ ავადმყოფობას, ვიდრე ისინი, რომლებმაც არ იციან ფიზკულტურისა და სპორტის ფასი.

კაცი, რაც უფრო ადრეულ ასაკში ჩაებმება ფიზკულტურასა და სპორტში, რაც უფრო ერთგული იქნება მისი, სისტემატურად, გეგმაზომიერად ივარჯიშებს და პერიოდულად, საჭიროების შემთხვევაში რჩევა-დარიგებისთვის ექიმს მიმართავს, მით უფრო შორს გადადებს ავადმყოფობითა თუ ტრავმებით გამოწვეულ უსიამოვნებას.

აი, რატომ ზრუნავენ ასე შეუნელებლად მოსახლეობაში ფიზკულტურისა და სპორტის კიდევ უფრო ფართოდ დანერგვისთვის, ტურიზმისა და სხვა გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განვითარებისთვის ჩვენი პარტია და მთავრობა. ამიტომაც არის, რომ ფიზკულტურასა და სპორტზე ზრუნვამ ჩვენი ქვეყნის ახალ კონსტიტუციაში და საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში ღირსეული ასახვა ჰპოვა.

**ნ. ავალიანი,**
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

## წერილის კვალდაკვალ

# „ძვირფასი დრო გზაში ეხარჯებათ"

ამ სათაურით „ლელოს" 14 მარტის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო გაგრის „სპორტსაქონლით" ვაჭრობის მაღაზიის კურორტვაჭრობის ობიექტად გარდაქმნისა და აქედან გამომდინარე სირთულეებზე.

წერილი განსახილველად და ზომების მისაღებად გაეგზავნა საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, რომელმაც თავის მხრივ აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს სთხოვა ემსჯელა გაზეთში აღნიშნულ ფაქტზე.

აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო რედაქციასატყობინებს, რომ მან განიხილა აღნიშნული წერილი და გაგრის კურორტვაჭრობის ხელმძღვანელობას დაავალა საფუძვლიანად გაამჯობესოს სპორტინვენტარისა და ფორმის შეძენისა და ამ საქონლით ვაჭრობის საქმე.

„აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო აღიარებს სპორტსაქონლის შეძენასა და ვაჭრობაში არსებულ ერთგვარ ნაკლოვანებებს, მაგრამ არასწორად მიაჩნია თითქოს „სპორტსაქონლის" მაღაზიის გაგრის კურორტვაჭრობის განკარგულებაში გადასვლით შეწყვეტილიყოს სპორტულ ორგანიზაციებზე საჭირო საქონლის გადარიცხვით მიყიდვა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სისტემის ერთი ორგანიზაციიდან მეორეზე გადაცემის შემდეგ ამ მაღაზიას დარჩა სპორტსაქონლის ყველა ფონდი, ამასთან იგი შეტანილია იმ საწარმოების სიაში, რომელთაც უნაღდო ანგარიშსწორების უფლება აქვთ.

„სპორტსაქონლის" მაღაზიის გაგრის კურორტვაჭრობის განკარგულებაში გადასვლა ნაკარნახევი იყო პარალელიზმის ლიკვიდაციისა და წვრილ ორგანიზაციებზე კონტროლის გაძლიერებით. ამასთან გაგრის ზონის სპორტსაქონლით მომარაგების საქმეს ამიერიდან კონტროლს თვით აფხაზეთის ასსრ ვაჭრობის სამინისტრო გაუწევს".

## ცხინვალი

**ჩატარდა** საქალაქო პირველობა სამბოში სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა კოლექტივებს შორის. ხალიჩაზე გამოვიდა 55 მოჭიდავე.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ნ. ახალკაცი, რ. კოტაევი, ლ. ლაზარაშვილი, მ. მამედოვი, ს. ოსტაევი, ს. ხუბეჟოვი (ყველა — „კოლმეურნე"), ტ. კოჩიევი, ბ. თადტაევი (ორივე — „ბურევესტნიკი"), ხ. ძაგოშვილი („დინამო"). მძიმე წონაში მონაწილე არ იყო და პირველობაც არ გათამაშებულა.

* * *

**ცხინვალს** ეწვიენ გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფრენბურთელები. სტუდენტებმა ამხანაგური შეხვედრები გამართეს ადგილობრივი სპორტული სკოლის გუნდებთან.

## [illegible]

გოგონათა კოლექტივების ასპარეზობაში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0, ვაჟებში — გორელმა ფრენბურთელებმა — 3:1.

**ვ. მელქოევი.**

## სამტრედია

დამთავრდა რაიონის პირველობა რუსულ შაშში. შეჯიბრებაში 13 გუნდი მონაწილეობდა (თითოეულში — ორ-ორი გოგონა და ვაჟი). ფინალში ჩემპიონის საკითხი მელაურისა და ჭოგნარის რვაწლიანი სკოლების შეხვედრაში გადაწყდა. უძლიერესი მელაურელები აღმოჩნდნენ.

**ი. ნიკოლეიშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა







# ფსიქოლოგიურ ზღუდეთა გაღმით

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი. 12 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) 1:0 (0:0).

„დინამო" (თბილისი): გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„დინამო" (კიევი): იურკოვსკი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, ლოზინსკი, ბურიაკი (ონიშჩენკო), ბერეჟნოი, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

გოლი გაიტანა შენგელიამ (54-ე წ.).

გაფრთხილებული არიან კონკოვი და კანთელაძე.

ათასობით გულშემატკივარმა კმაყოფილმა და, რაც მთავარია, იმ ფიქრით დატოვა სტადიონი, რომ ამ მშვენიერი თამაშის თაყვანისმცემლებს წლევანდელი სეზონიც უთუოდ ბევრს ჰპირდება.

მაგრამ ეს ყველაფერი უკვე მატჩის დასრულების შემდეგ, რიგით მეორე გამარჯვების შემდეგ იყო. მაშინ, როცა თბილისელებმა, ცოტა არ იყოს, ნაადრევი და მორიდებით სათქმელი, მაგრამ მაინც ჩემპიონატის ლიდერის სახელი დაისაკუთრეს.

მანამდე კი... თუმცა, სანამ უშუალოდ მატჩზე ვიტყოდეთ რამეს, ურიგო არ იქნებოდა ზოგადად მაინც წარმოგვედგინა ამ ორთაბრძოლის ექსპოზიცია.

ფეხბურთის ავან-ჩავანში გათვითცნობიერებულმა მოყვარულმა კარგად იცის, რომ ერთ რომელიმე მატჩზე განცალკევებით საუბარი, მანამდე და მერე სათამაშო მატჩებისაგან დამოუკიდებლად რამის თქმა, ფაქტიურად არაფრის თქმას ეთანაბრება. ისიც იცის, რომ წლევანდელ სეზონში პირველი გუნდის სახელისთვის ბრძოლა კიეველ, თბილისელ, მოსკოველ დინამოელთა და „ტორპედოს" შარშანდელი დავის გაგრძელებაა. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის რომელიმე მათგანის აღზევება ანდა დაცემა, თუნდაც იმიტომ, რომ სხვაგვარად საფეხბურთო კოლექტივების სახეცა და გათამაშების ცხრილიც წლების მანძილზე უცვლელი დარჩებოდა. სწორედ ამდენად არის საგულისხმო: ხუთი თვის წინათ ქვეყნის ჩემპიონთან თბილისში ნათამაშევი მატჩით დატოვებული უკმარობის გრძნობა ჩვენს ფეხბურთელებს ხელუხლებლად მოჰყვათ 12 აპრილამდე. თუმცა, სხვაგვარად არც შეიძლება იყოს — თბილისის „დინამოს" აშკარად ეტყობა, რომ ისევ და ისევ ძველ გულისნადებს დასტრიალებს.

კიევის „დინამო" ძლიერი საფეხბურთო კოლექტივია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამდენად, ძნელი და საპატიოა მისი დამარცხებაც. ეს თავისთავად, მაგრამ 12 აპრილის მატჩში თბილისელებს დამატებით ორგვარი ფსიქოლოგიური ზღუდეც უნდა დაეძლიათ. პირველი — საკმაოდ კარგად ცნობილი ფაქტი, რომ ბოლო ხანებში ვერა და ვერ მოხერხდა კიევური „ბეტონის" დამსხვრევა; ვერ მოხერხდა შარშანაც, მაშინაც კი როცა ქართველმა ფეხბურთელებმა სერიოზულად განიზრახეს ოქროს მედლებისთვის ბრძოლა. და მეორე — მძიმე გრუნტი, რადგან ასეთ პირობებში, რა დასამალია და, თბილისელები მაინცდამაინც კარგად ვერ გრძნობენ თავს. ეს ფაქტორი კიდევ უფრო ტევადი გახდა ერთი მიზეზის გამო — თბილისში ნათამაშევი მატჩების მიხედვით, გუნდის ფიზიკური მომზადება უკეთესის სურვილს სტოვებდა (ისე, კაცმა რომ თქვას, ეს ხარვეზი ჩემპიონატის დასაწყისში მაინცდამაინც საგანგაშო არ უნდა იყოს. ხანგრძლივი სეზონის გათვალისწინებითა და სპორტული კონდიციების თანდათან გაუმჯობესების თვალსაზრისით კი იქნებ სასარგებლოც). წლების განმავლობაში განმტკიცებულმა შეხედულებამ — თბილისელებს უჭირთ მძიმე გრუნტზე თამაში — მარტო სველი მინდვრის ხსენებაც კი უარყოფითად მოქმედ ფსიქოლოგიურ მომენტად აქცია.

ოთხშაბათს, შეხვედრის არბიტრის სასტვენის ხმამ სწორედ ორი დღის ნაწვიმარ მინდორზე მოუხმო მეტოქეებს.

ტრიბუნის განწყობილება უშუალოდ, მყისიერად გადაეცემა ხოლმე ფეხბურთელებს. გულშემატკივართა მეტი წილი კი იმ დღეს პირველყოვლისა, დაძაბული სპორტული პაექრობის ნახვის სურვილმა მიიყვანა სტადიონზე, თორემ გამარჯვებისა ბევრს არ სჯეროდა. არ სჯეროდა ზემოთქმულ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო. გულახდილად რომ ვთქვა, მეც იმათ ბანაკში ვიყავი, ვისთვისაც ერთობ საეჭვო იყო, რომ თბილისის „დინამო" ერთ დღეს, ერთ მატჩში შეძლებდა ამდენი რეალურად არსებული წინააღმდეგობის დაძლევას.

პირველი ფაქტორი (მეტოქის დაუძლევლობა) შეხვედრის მხოლოდ პირველ ნახევარში მოქმედებდა და ისიც ნაწილობრივ. მეორე კი, ისე დაიწყო მატჩი და დასრულდა კიდეც, რომ არც მაყურებელსა და არც ფეხბურთელებს აღარ გახსენებიათ. დარჩა ერთადერთი — კიევის „დინამო" თავისი საგარეო ტაქტიკური მოდელითა და ცნობილი „ბეტონით".

1-15 წუთები. თბილისელები: 4-4-2. მაჩაიძე და ყიფიანი შეწყვილებული თამაშობენ მინდვრის შუაგულში. გუცაევი ხან მარჯვენა ფლანგზეა, ხან — მარცხენაზე. შენგელია მეტწილად თავდასხმის ცენტრში, დროდადრო ფლანგებზეც მოქმედებს. გაბელიას კარის სიახლოვეს სულ ერთხელ თუ ორჯერ გამოჩნდნენ კიეველები და მცველებიც, ბუნებრივია, მშვიდად არიან. ფრთხილად, გამოზომილად თამაშობს გუნდი. კიეველები: 4-6-0. შეიძლება პარადოქსულადაც ჟღერდეს, მაგრამ უკრაინელ ფეხბურთელებს რომ თავიანთ რიგებში თავდამსხმელებიც ჰყავდათ, მხოლოდ მატჩის ოქმში ჩაწერილი გვარებით თუ მივხვდებოდით. კიევის „დინამოს" განზრახვა აშკარაა — მინდვრის ნახევრის ნახევრიდან იშვიათი გამოხდომების იმედით ყოფნა. ვინ იცის, იქნებ მეტოქე შეცდეს, იქნებ... არადა, არც ფრეა ურიგო. მართალია, წლეულს მათზე ზრუნვა კარგს არავის უქადის, მაგრამ სავარაუდო მთავარ კონკურენტსაც ხომ ის უსიამო ერთიანი დაეწერება.

თქმა არ უნდა, ამგვარი ტაქტიკის გამუდმებული ხმარება მაინცდამაინც ვერ ხიბლავს ფეხბურთის მოყვარულს და უთუოდ მისი შედეგი იყო ისიც, რომ შარშან მეტოქეთა მინდვრებზე ვერცხლის პრიზიორს ჩემპიონზე გაცილებით მეტი მაყურებელი ჰყავდა.

15-45 წუთები. თბილისელები ხვდებიან, რომ მეტისმეტ სიფრთხილეს რეალური საფუძველი არ გააჩნია, კიეველები უფრო საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავენ — თანდათან საგრძნობი ხდება მასპინძელთა ტექნიკური უპირატესობა და ყველაფერ ამას, როგორც ლოგიკური გაგრძელება, ყიფიანის გააქტიურება მოჰყვა. ქართველ ფეხბურთელთა იერიშებს მეტი სიმძაფრე დაეტყო. შესაბამისი ცვლილება მოხდა სტუმართა რიგებშიც, თუმცა მოთამაშეთა განლაგების სქემა მაინც კურიოზულია — 5-5-0. ყიფიანის მიზეზით ბერეჟნოი მეხუთე მცველად იქცა.

ერთგვარ სიფრთხილისგან, პირველ ტაიმში თან რომ სდევდა თბილისელთა თამაშს, ორთაბრძოლის განახლებისას კვალიც აღარ დარჩა. გაუჭირდათ ჩემპიონის ნახევარმცველებსა და მცველებს, გაუჭირდა იურკოვსკისაც.

და ბოლოს ნანატრი გოლიც! მაგრამ მანამდე, სანამ შენგელიას მიერ დარტყმული ბურთი უკრაინელთა ცხრაკლიტულს გასაღებს მოარგებდა, მოხდა ისეთი რამ, რაზედაც ნამდვილად ღირს ორიოდ სიტყვის თქმა.

სტუმრებმა საკუთარ საჯარიმოში წააქციეს თბილისელი ფეხბურთელი. თამაში განაგრძეთო, აჩვენა მსაჯმა. არ შევუდგებით ამ ჟესტის მართებულობისა თუ უმართებულობის დადგენას. მთავარი სხვაა. ვიდრე ტრიბუნა უკმაყოფილებას გამოთქვამდა არბიტრის გადაწყვეტილების გამო, თბილისის „დინამომ" უპროტესტოდ და უხმაუროდ „დაივიწყა" ეს ინციდენტი და „საქმე" განაგრძო. მერე კი, ვინ იცის, იქნებ სიმბოლურიც იყო, რომ ამ სპორტულ საქციელს, ფეხბურთისა და მხოლოდ ფეხბურთის სიყვარულს ღირსეულ ჯილდოდ გამარჯვების გოლიც მოჰყვა.

ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს გრძელდება შეტევა. და მხოლოდ მაშინ, როცა მატჩის დამთავრებამდე ბევრი აღარაფერი დარჩა, როცა კიეველებმა ბურიაკი ონიშჩენკოთი შეცვალეს და როცა ისიც გაიხსენეს, რომ ერთ ქულასაც დამსახურება უნდა, ჩემპიონები თითქოს გამოცოცხლდნენ, მაგრამ გვიანდა იყო — თბილისელებმა კარგად დაწყებულ საქმეს კარგადაც მოაბეს თავი, სრული ტექნიკური და ტაქტიკური უპირატესობა მშვიდად, დამაჯერებლად აქციეს ორ ქულად.

ასეთ მატჩში უხერხულიც არის ვინმეს გამოყოფა — გამარჯვება საერთო, ყველასი იყო და თანაბრადაც გაინაწილეს ფეხბურთელებმაცა და მწვრთნელებმაც.

ჩვენ? გულშემატკივრები, სამოცდაათიათასიანი აუდიტორია?

ზემოთ ვთქვი, ტრიბუნის განწყობილება მყისიერად გადაეცემა-მეთქი ფეხბურთელებს. თითქოს ცნობილზე ცნობილი ჭეშმარიტებაა: ტრიბუნა სპორტსმენის გამამხნევებელი, მხარდამჭერია. ყოველ შემთხვევაში, ასე უნდა იყოს. არ ვიცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ამ მატჩში ყველაფერი სხვაგვარად იყო. სწორედ თბილისის „დინამო" ამხნევებდა და არწმუნებდა თბილისელ მაყურებელს, რომ ოსტატური და მონდომებული თამაშით ბოლოსდაბოლოს გამოდნებოდა გამარჯვებაც. სწორედ ამან გამიჩინა ერთი სათქმელიც.

სპორტი სპორტია და წლეულს უთუოდ იქნება სიხარულიცა და იმედგაცრუებაც. თქმა არ უნდა, დღევანდელი ოპტიმიზმი ათასგვარი პროგნოზის გამოთქმის სურვილისკენაც გვიბიძგებს, მით უმეტეს, რომ ამგვარ ცდას არაფერი სცხია მკრეხელობისა. თანახმა ვარ, უაზრობაა ფეხბურთში პროგნოზებსა და ვალდებულებებზე საუბარი, მაგრამ რა დასამალია: ხვალ ტაშკენტში წარმატების შემთხვევაში ხელშესახებად გამოიკვეთება საიმისო წანამძღვრები, რომ სსრ კავშირის თასის გათამაშების ერთ-ერთი ფინალისტი თბილისის „დინამო" გახდეს. მაგრამ ეს მხოლოდ პროგნოზია. ჯერჯერობით კი გუნდს ძალიან სჭირდება ზრახვათა თანაზიარი, მხარდამჭერიცა და გამტანიც. ერთი სიტყვით, საერთო ფილტვით უნდა სუნთქავდეს ტრიბუნაცა და გუნდიც, რათა მატჩის მოგების სიხარულთან ერთად აღარ გაგვყვეს უხერხულობის ის გრძნობა, რომელიც უთუოდ ჩნდება, როცა ფეხბურთელები ენერგიის მაქსიმალური დაძაბვით აღწევენ მიზანს, როგორღაც დაუჯერებელ, სასხვათაშორისო საფიქრალად რომ ჰქონდა სკეპტიკურად განწყობილ მაყურებელს.

ი. ბერიაშვილი.

* * *

სურათებზე: შენგელია საკმაოდ ხშირად ჩაგრავდა თავის მეურვეებს. ერთ-ერთი ამგვარი შეტევა; ნანატრი გოლი კიეველთა კარში; ყიფიანის ამგვარ დარტყმებს ბევრი უსიამოვნება მოაქვს მეტოქეთათვის. ეს ბურთიც იურკოვსკიმ ძლივძლივობით მოიგერია.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

# 41 სსრკ ჩემპიონატი

## უმაღლესი ლიგა

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 15 აპრილისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 2 | 2 | 0 | 0 | 3—0 | 4 |
| „ქაირათი" | 2 | 1 | 1 | 0 | 3—2 | 3 |
| „ფახთაქორი" | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| „ჩერნომორეცი" | 2 | 1 | 1 | 0 | 2—1 | 3 |
| „ზენიტი" | 2 | 1 | 1 | 0 | 1—0 | 3 |
| „ტორპედო" | 2 | 1 | 1 | 0 | 1—0 | 3 |
| „შახტიორი" | 1 | 1 | 0 | 0 | 2—0 | 2 |
| „ლოკომოტივი" | 2 | 0 | 2 | 0 | 3—3 | 2 |
| „ზარია" | 2 | 1 | 0 | 1 | 2—2 | 2 |
| „დნეპრი" | 2 | 1 | 0 | 1 | 1—2 | 2 |
| „დინამო" კ. | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „არარატი" | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „ნეფთჩი" | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „დინამო" მ. | 1 | 0 | 0 | 1 | 0—1 | 0 |
| ცსკა | 2 | 0 | 0 | 2 | 0—2 | 0 |
| „სპარტაკი" | 2 | 0 | 0 | 2 | 1—4 | 0 |

# I ლიგა

## ქულას დასჯერდნენ

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 13 აპრილი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 2:2 (0:0).

„ტორპედო": მ. კვერნაძე, ზ. სვანიძე, სულაქველიძე, მელიქია, ფარულავა, თევზაძე, ბურკაძე (ჩიმაკაძე), ქვირია, ფესტვენიძე, გაბიჩვაძე (ა. კვერნაძე), შელია.

„შინიკი": ჩურკინი, საველიევი, სილოვი, მირონოვი, მიხაილოვი, შაფრანსკი (ვილხოვი), კლემჩევი, პანტელეევი, გავრილოვი, ტკაჩოვი, ზიუზინი.

მსაჯი ი. ზვიაგინცევი (მოსკოვი).

დუბლიორები — 2:1.

მეორე კალენდარული მატჩი საკუთარ მინდორზე ქუთაისელმა ფეხბურთელებმა ისე დამაჯერებლად დაიწყეს, რომ მათს ახალ წარმატებაში ეჭვს ვერ შეიტანდით. ფორვარდები სისტემატურად უგებდნენ ინდივიდუალურ ბრძოლას მოპირდაპირე მცველებს და კარგ პოზიციაშიც გადიოდნენ. იერიშს ხშირად ერთვოდნენ ნახევარმცველები და მცველებიც. საერთო სურათი ისეთი იყო, რომ გუნდს პირველივე ტაიმში უნდა შეექმნა გამარჯვების გარანტია. მაგრამ გადიოდა დრო და გოლი კი არ ჩანდა. რამდენიმეჯერ თავგანწირვით ითამაშა მეკარე ჩურკინმა. ვერ გამოიყენეს კარგი მომენტები გაბიჩვაძემ, ფარულავამ და სხვებმა. გუნდები ისე წავიდნენ შესვენებაზე, რომ ციფრები 0:0 ელექტროტაბლოზე არ შეცვლილა.

მასპინძლებმა თავიანთი უპირატესობის რეალიზება შეძლეს მხოლოდ 57-ე წუთზე, როცა ფესტვენიძე სწრაფად გავიდა გარღვევაზე და გოლით დაამთავრა რეიდი. მაგრამ გავლო წუთმა, გავრილოვმა ცენტრიდან მიაწოდა ბურთი ზიუზინს და ამ უკანასკნელმა ახლო მანძილიდან თავური დარტყმით წონასწორობა აღადგინა — 1:1.

გავიდა კიდევ ორიოდე წუთი, ტკაჩოვმა დაახლოებით 30 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა და ბურთი „ტორპედოს" კარში აღმოჩნდა. ასე, მატჩში, რომლის ბედი ადრე უნდა გადაწყვეტილიყო ქუთაისელთა სასარგებლოდ, მათ ქულის სახსნელად მოუხდათ ზრუნვა. ეს შესაძლებელი გახდა 76-ე წუთზე, როცა მცველებმა საჯარიმო მოედანზე აკრძალული ილეთით წააქციეს გარღვევაზე გასული შელია. ფარულავამ კარგად გამოიყენა 11-მეტრიანი — 2:2.

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

# მატჩები, გოლები

12 აპრილს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის II ტურის კალენდარული შეხვედრები.

„ნეფთჩი" — „ზენიტი" 0:1. ამ მატჩის ბედი გადაწყვიტა გოლმა, რომელიც ლენინგრადელმა რედკოუსმა გაიტანა ბოლო, 90-ე წუთზე.

„არარატი" — „ტორპედო" 0:1. გადამწყვეტი ბურთის ავტორია იაკოვლევი (78-ე წუთი).

„ქაირათი" — ცსკა 1:0. არმიელმა გრიგორიევმა 42-ე წუთზე გაიტანა ბურთი საკუთარ კარში და „ქაირათმა" მისი მეოხებით 2 ქულა ჩაიწერა აქტივში.

„დნეპრი" — „ზარია" 0:2. ვოროშილოვგრადელმა ფეხბურთელებმა პოლუკაროვმა და კუკსოვმა სტუმრად შეძლეს 2 უპასუხო გოლის გატანა.

„ფახთაქორი" — „ლოკომოტივი" 1:1. ანგარიში მე-7 წუთზე გახსნა ტაშკენტელმა ფიოდოროვმა, ხოლო საპასუხო ბურთი ტაიმის დამთავრებამდე გაიტანა ავერიანოვმა.

„ჩერნომორეცი" — „სპარტაკი" 2:1. გამარჯვებულთაგან ორივე გოლის ავტორია უსტიმჩიკი. სპარტაკელებმა „მშრალი" ანგარიშით დამარცხებას თავი დააღწიეს 88-ე წუთზე (იარცევი).

ამრიგად, განვლილი ტურის 7 მატჩში მხოლოდ ერთი დამთავრდა ფრედ, 3 შემთხვევაში გამარჯვებას მიაღწიეს სტუმრებმა, მაგრამ ჯერ კიდევ დაბალია შედეგიანობა: 7 მატჩში გატანილი იქნა სულ 11 ბურთი. გაფრთხილებები მიიღეს ოვჩინიკოვმა („ლოკომოტივი"), აშიროვმა და მოგილნიმ („ფახთაქორი").

# სხვა მატჩები

დამთავრდა ასეთი შედეგებით: ასკ (დონის როსტოვი) — „დინამო" (ლენინგრადი) 4:2, „ტავრია" (სიმფეროპოლი) — „დინამო" (მინსკი) 2:1, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ჟალგირისი" (ვილნიუსი) 0:0, „თერგი" (გროზნო) — „კუზბასი" (კემეროვო) 1:0, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:1, „პამირი" (დუშანბე) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 2:1, „კოლხოზჩი" (აშხაბადი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:2.

## ჭადრაკი

### შესანიშნავი სტარტი

დორტმუნდი, 14 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ სტარტი აიღო ვაჟთა ტრადიციულმა საერთაშორისო ტურნირმა, რომელშიც ერთადერთი ქალი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი დიდოსტატი ნ. გაფრინდაშვილი მონაწილეობს.

ტურნირში 12 მოჭადრაკე თამაშობს, მათ შორის არიან: დიდოსტატები ა. გიპსლისი (სსრ კავშირი), უ. ანდერსონი (შვეცია), ა. ფარაგო (უნგრეთი), რ. კინი (ინგლისი), საერთაშორისო ოსტატები ს. ტატაი (იტალია), მ. მარიანოვიჩი (იუგოსლავია) და გფრ-ის ეროვნული ოსტატები.

გამოცხადდა, რომ ტურნირი ფიდე-ს ზედამხედველობით ტარდება და საერთაშორისო დიდოსტატის ბალის ნორმატივია 8 ქულა.

შესანიშნავად აიღო სტარტი ნ. გაფრინდაშვილმა. I ტურში იგი დაუზავდა თავის მწვრთნელს გიპსლისს, მეორე დღეს შეხვდა მარიანოვიჩს და დაამარცხა იგი. III ტურში მისი მეტოქე იყო ანდრე (გფრ). ჩემპიონმა ეს პარტიაც აღმავლობით ითამაშა და გაიმარჯვა.

### დიდი ინტერესი

ბუდაპეშტში დიდი ინტერესი გამოიწვია იმ ამბავმა, რომ გამოჩენილი უნგრელი თეორეტიკოსისა და მოღვაწის ლ. ალფელდის ხსოვნისადმი მიძღვნილ ქალთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს მსოფლიო პირველობის პრეტენდენტი, სსრ კავშირის ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ჩიბურდანიძე.

ტურნირში თამაშის სურვილი განაცხადა ყველა გამოჩენილმა უნგრელმა მოჭადრაკემ: საერთაშორისო ოსტატებმა—ქვეყნის ჩემპიონმა ვერეციმ, ივანკამ, მაკაიმ, პორუბსკიმ, კრიშანმა, ოსტატებმა ტომპამ და კაშიმ.

გამარჯვებისთვის მათ მძიმე ბრძოლა მოელით, რადგან ჩიბურდანიძის გარდა ბუდაპეშტში იასპარეზებენ საერთაშორისო ოსტატები ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), მურეშანი (რუმინეთი), მაჩეკი (იუგოსლავია), შიკოვა (ბულგარეთი), ოსტატები ვორხი (გდრ) და შმაჩინსკა (პოლონეთი).

ტურნირი აპრილის ბოლომდე გასტანს.

### გამარჯვებით დაიწყო

პოლონეთის ქალაქ ბიდგოშჩში დაიწყო ქალთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 9 ქვეყნის 16 მოჭადრაკე გამოდის. მონაწილეთა შორის არიან ცნობილი ოსტატები ს. ვოკრჟალოვა (ჩეხოსლოვაკია), ქ. რაძიკოვსკა, ა. იურჩინსკა (ორივე — პოლონეთი), მ. ტეოდორესკუ, გ. ბაუმშტარკი (ორივე — რუმინეთი), პ. ფოისტელი (გდრ), ე. ხონფი (უნგრეთი) და სხვები. სსრ კავშირის სპორტულ ღირსებას იცავს თბილისელი ოსტატი ნინო გურიელი.

I ტურში გურიელმა მოუგო ე. ნოინბერტს (გდრ), ტეოდორესკუმ—ფოისტელს, ზ. სიკორამ (პოლონეთი) — ხონფის. სხვა პარტიები გადაიდო.

### დიდი სიმჭიდროვე

ლვოვში, მსოფლიო პირველობის საბჭოთა ზონალურ ტურნირში მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

სამ პარტიაში განაახლა თამაში ვ. ცეშკოვსკიმ, იგი დამარცხდა ვ. სავონთან და ყაიმზე შეუთანხმდა ი. ბალაშოვსა და რ. ვაგანიანს.

პირველი გამარჯვება იზეიმეს სსრ კავშირის ჩემპიონმა ი. დორფმანმა და ა. ბელიავსკიმ. პირველმა მოუგო ე. სვეშნიკოვს, მეორემ — ვ. ტუკმაკოვს. დაზავდნენ ა. კოჩიევი — გ. კუზმინი, ე. გელერი — ო. რომანიშინი.

VI ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა. სსრ კავშირის ჩემპიონმა ბ. გულკომ პირველი მარცხი აწვნია სავონს. დაზავდნენ კოჩიევი — ბელიავსკი და ბალაშოვი — ტუკმაკოვი.

6 ტურის შემდეგ ლიდერებში დიდი სიმჭიდროვეა: ი. ბალაშოვს 4 ქულა აქვს, რ. ვაგანიანს — 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, ბ. გულკოს — 3,5, ვ. სმისლოვს, ა. ბელიავსკის, ბ. კუზმინს — 2,5-2,5 (2-2).

### მხოლოდ მეორე

ლონ-პაინში (აშშ) დამთავრდა ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 23 დიდოსტატი და 46 ოსტატი მონაწილეობდა.

I ადგილი დაიკავა დიდოსტატმა ბ. ლარსენმა (დანია) — 7,5 ქულა, II ადგილი ხვდა საბჭოთა დიდოსტატ ლ. პოლუგაევსკის — 7.

დასკვნითს, IX ტურში პოლუგაევსკი, რომელიც მთელი ტურნირის მანძილზე ლიდერობდა, ყაიმს დასჯერდა და წინ ლარსენი გაუშვა. დანიელმა მოჭადრაკემ სძლია ამერიკელ კ. რიგოფს.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა (სსრ კავშირი) 6 ქულა მოაგროვა და VI-X ადგილები გაიყო.

### გადაიდო მოსაგებ ენდშპილში

სოჭი, 14 აპრილი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ საქალაქო საჭადრაკო კლუბში მიმდინარეობს ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის საბჭოთა მოჭადრაკეთა შესარჩევი მატჩ-ტურნირი.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ზ. ლანკამ (რიგა) მხოლოდ ნახევარი ქულა აიღო. იგი დაუზავდა ბ. ტაბოროვს (კიევი) და წააგო ს. დოლმატოვთან (მოსკოვი). მესამედ დამარცხდა ლ. ეოლიანი (ერევანი), ამჯერად ი. ფსახისთან (კრასნოიარსკი). დოლმატოვი ყაიმზე შეუთანხმდა ლ. იურტაევს (ფრუნზე), ა. ხარიტონოვმა (ივანოვო) მოუგო ტაბოროვს.

V ტურში ზ. აზმაიფარაშვილი შეხვდა ეოლიანს. ქართველმა მოჭადრაკემ მცირე უპირატესობა მოიპოვა ლაზიერის გამბიტში. ეტლების ენდშპილში გადასვლისას პაიკი მოიგო, მაგრამ პარტია გადაიდო. აზმაიფარაშვილს გამარჯვების შანსი აქვს.

დოლმატოვმა დაამარცხა ფსახისი. დაზავდნენ ხარიტონოვი — ლანკა. გადაიდო ტაბოროვ — იურტაევის პარტია.

5 ტურის შემდეგ ს. დოლმატოვს, ა. ხარიტონოვს 3,5-3,5 ქულა აქვთ, ზ. აზმაიფარაშვილს, ლ. იურტაევს — 2,5-2,5 ქულა და თითო გადადებული პარტია.

ა. გუსლაევი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

## შაში

დამთავრდა უსინათლოთა საზოგადოების რესპუბლიკური პირველობა 64-უჯრიან შაშში ვაჟთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 7 ოსტატობის კანდიდატი და 9 პირველთანრიგოსანი.

ჩემპიონი გახდა ოსტატობის კანდიდატი ი. სოტიევი — 12 ქულა, რომელიც ითამაშებს საკავშირო პირველობაში. II-III ადგილებზე გავიდნენ რ. გოგოლაძე და გ. დეკანოიძე — 11,5-11,5.

შ. კოჩიევი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.



ამას წინათ სოფელ სერედას (იაროსლავის მხარე) სპორტკლუბმა „სტარტმა", რომელიც ასობით სპორტსმენს აერთიანებს, ჩაატარა მე-15 ტრადიციული მასობრივი სპორტული დღესასწაული დევიზით „სპორტი და შრომა — მხარდამხარ".

სურათზე: ასპარეზობენ სერედელი სამბისტები.

საკდესის ფოტო.

## ტელეტაიპის ლენტიდან

**ფილადელფია.** 23 წლის ამერიკელი კრის ევერტი, რომელსაც სპეციალისტები მსოფლიოში უძლიერეს ჩოგბურთელად მიიჩნევენ, 14 თვის „შესვენების" შემდეგ კვლავ გამოჩნდა სარბიელზე. მან მისთვის დამახასიათებელი ძლიერი, ზუსტი თამაშით ნახევარფინალში დაამარცხა უიმბლდონ-77-ის ჩემპიონი, ინგლისელი ვირჯინია უეიდი (6:3, 6:2), ხოლო გადამწყვეტ მატჩში მოუგო თანამემამულეს, ცნობილ ბილი ჯინ კინგს — 6:0, 6:4.

მთელი ტურნირის მანძილზე ევერტმა წააგო მხოლოდ ერთი პარტია — მეორე წრის მატჩში იგი დამარცხდა 19 წლის ჩეხოსლოვაკიელ ჩოგბურთელ რეგინა მარშიკოვასთან.

**ბუდაპეშტი.** სეკეშფეხერვარის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვეს უნგრელმა კალათბურთელმა ქალებმა. მათ გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს პოლონეთის ნაკრები — 77:64 (31:10). ორივე გუნდისთვის ეს შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისთვის (რომელიც პოზნანში 20-დან 30 მაისამდე გაიმართება) მზადების მნიშვნელოვანი ეტაპი იყო. სსრ კავშირის ნაკრებისთვის ევროპის პირველობის წინ საკონტროლო შეჯიბრება იქნება „პრაღის დიდი პრიზის" გათამაშება, რომლის ჩატარება აპრილის ბოლოსაა ნავარაუდევი.

## ფინალისტები გამოვლინდნენ

12 აპრილს შედგა ფეხბურთში ევროპის სამივე საკლუბო ტურნირის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები.

თასების მფლობელთა თასზე მოსკოვის დინამოელები ვენაში შეხვდნენ ადგილობრივ „ავსტრიას". თამაში მიმდინარეობდა საინტერესოდ, დაძაბულად. ანგარიში „ავსტრიის" თავდამსხმელმა პირკნერმა გახსნა 49-ე წუთზე (პენალტი), ცოტა ხნის შემდეგ კი მორალესმა მეორედ აიღო დინამოელთა კარი. 90-ე წუთზე მოსკოველებმა თავი დააღწიეს დამარცხებას იაკუბიკის ზუსტი დარტყმის შემდეგ და რახან ანგარიში ორი მატჩის ჯამში გათანაბრდა — 3:3, მსაჯმა დანიშნა დამატებითი დრო, რომელიც უშედეგოდ დამთავრდა. პენალტების სერიათა შესრულებისას „ავსტრიამ" ზუსტად მოახვედრა მიზანს ხუთივე დარტყმა, მოსკოველი ბუბნოვისგან კი ბურთი აიღო მეკარე ბაუმგარტნერმა. ფინალში თამაშის უფლება მიიღეს ავსტრიელებმა.

ამავე ტურნირში ბრიუსელის „ანდერლეხტმა" (ბელგია) ანგარიშით 2:0 მოუგო „ტვენტეს" (ენსხედე, ჰოლანდია) და გავიდა ფინალში, ვინაიდან პირველი მატჩი მას აგრეთვე მოგებული ჰქონდა — 1:0.

ჩემპიონთა თასის ფინალში ბელგიის „ბრიუგემ" რევანში აიღო (2:0) იტალიის „იუვენტუსთან" პირველ ტურში დამარცხებისთვის (0:1). იგი ფინალში შეხვდება ინგლისის „ლივერპულს", რომელმაც პირველი წაგების შემდეგ (1:2) დიდი ანგარიშით დაამარცხა მენხენგლადბახის „ბორუსია" (გფრ) — 3:0.

უეფა-ს თასზე საფრანგეთის „ბასტიამ" გაიმარჯვა ციურიხის (შვეიცარია) „გრასჰოპერსთან" ანგარიშით 1:0 (პირველი მატჩი 7:3) და გავიდა ფინალში, სადაც შეხვდება ჰოლანდიის „ეინდჰოვენს". ჰოლანდიელებმა ესპანეთის „ბარსელონას" პირველ ტურში მოუგეს ანგარიშით 3:0, განმეორებითი შეხვედრა კი წააგეს უკეთესი სხვაობით — 1:3.

## სამჭიდშის მეორე

**კიროვსკში** გაიმართა 1961-62 წლებში დაბადებული გოგონების საკავშირო პირველობა სამთო-სათხილამურო სპორტში.

ტურნირში კარგად იასპარეზა ბაკურიანელმა მ. კოზანაშვილმა („დინამო"), რომელმაც სპეციალურ სლალომსა და სწრაფდაშვებაში IV ადგილები დაიკავა, ხოლო გიგანტურ სლალომში მეორე იყო. ამან მას საშუალება მისცა სამჭიდშიც ვერცხლის მედალი მიეღო.

## „სპორტლოტო"

**გაიმართა** „სპორტლოტოსა" და „სპორტლოტო-2"-ის მორიგი მეთხუთმეტე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო": 7 (ბიატლონი), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 2[illegible] (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 35 (სპიდვეი), 39 (სამბო), 45 (ჰოკეი). შეღავათიანი ბურთულა — 10 (საბუერო სპორტი).

„სპორტლოტო-2": 7 (ბიატლონი), 13 (წყალ-სათხილამურო სპორტი), 18 (რიკაობა), 23 (მძლეოსნობა), 43 (ფარიკაობა), 45 (ფეხბურთი). შეღავათიანი ბურთულა — 32 (წყალში ხტომა).

## სპორტულ გაზეთზე

**ფეხბურთი.** საქართველოს პირველობა. 15 აპრილი. ასკ-ს სტადიონი. **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ეგრისი" (ცხაკაია).** დასაწყისი 12 ს. **სსრ კავშირის პირველობა ჭაბუკთა შორის, საქართველოს ზონა.** მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. **განათლების განყოფილება (თბილისი) — „ინტერნატი" (თბილისი).** 12 ს. გლდანის სტადიონი. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „დინამო" (ბათუმი).** 14 ს. დიმიტროვის სახ. საავიაციო ქარხნის სტადიონი. **„განთიადი" (თბილისი) — „ტორპედო" (ქუთაისი).** 16 ს.

**მუდ მრავალჭიდი.** საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით. **დღეს. ტყვიის სროლა.** ფიზკულტურის ინსტიტუტის ტირი. დასაწყისი 9 ს. **ცურვა.** „ლოკომოტივის" აუზი. დასაწყისი 18 ს. **ხვალ. მძლეოსნური კროსი.** „ლოკომოტივის" სტადიონის მიდამოები. დასაწყისი 11 ს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

**16 აპრილს თბილისის ალპიურ კლუბში ჩატარდება საქართველოს კრივის ფედერაციის პლენუმი.**

დასაწყისი 10 საათზე.

**21 აპრილს თბილისის ალპიურ კლუბში ჩატარდება საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის პლენუმი.**

დასაწყისი 16 საათზე.

## რასისტები იზოლირებულნი უნდა იყვნენ!

**პარიზი.** აფრიკის სპორტის უმაღლესი საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჟან კლოდ განგამ გააკრიტიკა კრივის მსოფლიო ასოციაციის გადაწყვეტილება წლეულს ოქტომბერში იოჰანესბურგში (სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა) პროფესიული კრივის ხელმძღვანელი ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ჩატარების შესახებ.

გამოქვეყნებულ კომუნიკეში განგამ აღნიშნა, რომ კრივის მსოფლიო ასოციაცია უგულებელყოფს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთსულოვან დაგმობას აპარტეიდის პოლიტიკის გატარების გამო. მან განაცხადა, რომ სპორტული სამყარო არ ცნობს სამხრეთ აფრიკას. განგამ მსოფლიოსა და აფრიკის ყველა სპორტულ გაერთიანებას მოუწოდა მიაღწიონ იმას, რომ კრივის მსოფლიო ასოციაციამ შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება. „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა იზოლირებული უნდა იყოს მანამ, სანამ ამ ქვეყანაში აპარტეიდი რჩება საზოგადოებრივ სისტემად", — თქვა მან (საკდესი).

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99 56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02048